№ 66 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 2 მან. ოთხშაბათი, 24 მარტი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მან., ცალკე ნომერი ყველგან 2 მა. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვ. 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1 – 82.

კინემო „მინიონი“ 22, 23 და 24 მარტს. სურათი გადაღებული ტფილისის აქციონერულ საზოგადოების „ფილმა“ ტფილისის მსახიობთა მონაწილეობით.

მითხარი რისთვის?

(შოპენის ნოკტიურნი) კინოდრამა 5 ნაწილათ. **მოქმედნი პირები:** პ. ა. კოშევსკი—„ტარტოს“ მსახიობი, ე. ა. გარსკაიას—კორეეკაიას როლში. ევგენი სებარი; ანა დავიდოვა, ვიქტოროვი, არბატოკი და სხვები. დადგმული რეჟისორი ბარსკის, მხატვარი სიმოვის მონაწილეობით. 513 2—2

სახელმწიფო თეატრი ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

ოთხშაბათს, 24 მარტს ქალთა პირველ გიმნაზიის მშობელთა წრის სასარგებლოთ

„ქეთო და კოტე“.

ხუთშაბათს, 25 მარტს ნ. პ. კოშიცის მერვე გასტროლი: „ფაუსტი“ და „ვოლპურგიის ღამე“. პარასკევს, 26 მარტს, მ. ს. დავიდოვას უკანასკნელი გასტროლი „კარმენი“, ბაშათს, 27 მარტს, ოპერა მუშებისათვის „კამორა“. 348

გენერალ პერესელიძის რაზმის უოფილ მოსამსახურეთა საყურადღებოდ საქართველოს რესპუბლიკის

სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ჯამაგირით და სხვა გვარ ფულით დაკმაყოფილება აღნიშნულ პირთა რაზმში სამსახურისათვის. ამის გამო, ზედმეტ მიმოწერის და დროს უბრალოდ დაკარგვის თავიდან ასაცილებლად ამგვარ თხოვნებით ხსენებულნი პირნი ნუღარ მიმართავენ სამხედრო სამინისტროს. 345 3—1

ოფიციალური განყოფილება

საზოგადო საგაქო ტარიფი და ახალი ნიხრი

აღნუსხვა შემოზიდულ საქონლისა.

სტატია	ზომა	ლიტერი	ძველი ნიხრი	ახალი ნიხრი
67	—	—	10.00	2000.00
68	—	—	4.95	500.00
69	1	—	0.20	2.00
	2	—	1.00	10.00
	3	—	2.00	20.00
	4	—	3.50	35.00
70	1	ა	5.00	125.00
		ბ	3.00	75.00
	2	ა	1.50	35.00
		ბ	1.00	25.00
	3	ა	1.00	25.00
		ბ	0.30	5.00
71	1	—	0.12	1.00
	2	—	0.60	6.00
	3	ა	2.00	4.00
		ბ	4.00	8.00
	4	—	8.00	16.00
	5	ა	8.00	80.00
		ბ	1.00	10.00
	6	—	0.04	0.10
	7	—	4.00	10.00
72	1	ა	0.01½	0.05
		ბ	0.06	0.10
	2	ვ	0.15	2.00
		—	0.20	1.00
	3	ა	0.10	0.50
		ბ	0.15	0.75
		ვ	0.45	1.50
73	1	ა	0.10	0.50
		ბ	0.20	1.00
	2	—	0.45	2.50
	3	ა	0.45	2.50
		ბ	0.60	3.00
		ვ	1.15	6.00
	4	ა	1.00	5.00
		ბ	1.60	8.00
		ვ	2.25	20.00
74	1	ა	0.10	1.00
		ბ	0.25	2.00
	2	ა	0.45	5.00
		ბ	1.15	15.00
		ვ	2.25	25.00
	3	—	2.25	25.00
	4	ა	0.45	2.00
		ბ	1.50	8.00
75	1	—	1.65	3.50
	2	—	2.10	4.50
	3	—	5.62½	50.00
76	1	—	9.54	30.00
	2	—	19.08	100.00
	3	—	37.80	200.00
77	1	ა	0.90	9.00
		ბ	2.25	22.00
		ვ	3.50	35.00
	2	ა	3.30	16.00
		ბ	6.00	30.00
	3	—	9.00	35.00
	4	ა	10.00	40.00
		ბ	16.50	65.00
	5	—	16.50	65.00
	6	ა	2.50	10.00
		ბ	5.00	20.00
		—	6.00	24.00
	7	ა	6.00	20.00 *)
		ბ	6.00	24.00
78	1	—	—	—
	2	უფასოდ		ბ ●
	3	უფასოდ		ბ ●
79	1	ა	0.06	უბ. უქმდება
		ბ	0.03	უქმდება
		ვ	0.01½	უქმდება
	2	ა	0.09	უბ. უქმდება
		ბ	0.04½	უქმდება
		ვ	0.02½	უქმდება
80	—	—	0.09	0.10
81	—	—	0.30	0.30
82	—	—	0.60	3.00
83	1	—	0.15	1.50
	2	—	0.22½	2.50
	3	—	0.30	3.00
84	—	—	0.30	უბ.
85	—	—	1.80	1.00
86	—	—	1.08	5.00
87	1	—	0.90	5.00
	2	—	1.50	5.00
	3	—	3.00	10.00
	4	—	12.00	50.00
	5	ა	0.90	2.00
		ბ	5.00	20.00
88	1	ა	0.20	1.00
		ბ	0.30	1.50
	2	ა	0.20	1.00
		ბ	0.50	2.50
	3	—	0.42	2.00
	4	ა	0.15	0.75
		ბ	0.30	1.50
89	—	—	ბ	უბ.
90	—	—	0.15	3.00
91	1	ა	უქმ	დება
		ბ	0.07½	1.00
	2	—	0.30	უბ.
	3	ა	0.30	უბ.
		ბ	0.25	,,

(* ამას გარდა 20 კ. ვერშოკიდან.

1920 წ. თებერვლის 24.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

დღიური შენიშვნები

ჩრდილოეთის საფრთხე.

არ იქნა ვერ ვეღირსეთ დამშვიდებულ ცხოვრებას; საქართველოს ცაზე კვლავ ახალ-ახალი ღრუბლები ჩნდებიან. როგორც სჩანს საქართველოს დემოკრატიას ჯერ კიდევ ვერ ეღირსება დამშვიდებული, მოსვენებული ცხოვრება. ვერ მოვასწრებთ ერთ რომელიმე არა სასიამოვნო მოვლენის თავიდან აშორებას, რომ მეორე არა ნაკლები საფრთხე სდგება ჩვენს წინაშე. ამ უკანასკნელ თვის განმავლობაში მთელი ერის ყურადღება ბათომით იყო შეპყრობილი, მთელი გულისყური ბათომისკენ იყო მიპყრობილი, ყველა ბათომზე ბჭობდა და ლაპარაკობდა; მთელ ერს ერთსულოვნად აღევსო გული ბოლმით ბათომის საკითხის ასე უკულმართად გადაჭრის გამო და ეს ბოღმა უსასტიკესი პროტესტის სახით ნათლად გამოაშკარავდა 19 მარტს არა მარტო საქართველოს დედა ქალაქ ტფილისში, არამედ მთელ საქართველოში. 19 მარტმა, ამ ისტორიულმა დატამ ნათლად დაანახვა მტერ-ორგულთ, თუ როგორ აფასებს საქართველოს დემოკრატია სახელმწიფოებრივ მთლიანობას.

ბათომი... მაგრამ დღეს არა ნაკლები საფრთხე და ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის დამღუპველი მდგომარეობა ჩნდება ჩრდილოეთის მხრივ ბოლშევიზმის სახით. ჩრდილოეთის საფრთხე ამ ორი წლის განმავლობაში არა ერთხელ მოგვგვლინებია, მაგრამ შეიძლება დღეს მან უფრო მწვავე და სერიოზული ხასიათი მიიღოს. არა ოფიციალური, კანტი-კუნტად მოსული ხმებით კავკავი და ჩრდილოეთის მნიშვნელოვანი ადგილები ბალშევიკებს ჩაუგდიათ ხელში.

ჩვენ საზღვარს მოაწყდა აუარებელი ლტოლვილები, რომელთა შემოშვება სახიფათო და საშიშია არა მარტო ეკონომიური თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკურადაც კი. ისიც ხომ ცხადია, რომ ბოლშევიკებისათვის საზღვარი არ არსებობს, მათი სხვის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლა სათაკილო არ არის, ისინი სიამოვნებით შეეცდებიან ჩვენ ახლო მდებარე ადგილებში ცეცხლითა და მახვილით „სოციალიზმის“ დამყარებას.

რომ ერთი წუთით თვალი გადაავლოთ ჩვენთან ბალშევიკების დამოკიდებულობის ისტორიას, დარწმუნდებით, რომ მიუხედავათ ჩვენი-მათდამი ლოიალობისა, არ ყოფილა არც ერთი მომენტი, რომ მათ ეცადნათ საქართველოსთან კეთილ-განწყობილების დამყარება; პირიქით, როცა კი ისინი დროს იხელთებდენ ქურდულათ თუ აშკარად მზად იყვნენ და არიან გულში ლახვარი ჩასცენ საქართველოს დემოკრატიას. ამ მიზნით მათ ჩვენში რამოდენიმე ათეული მილიონი ჯნარკომის ფული დახარჯეს. თვით ტარტაროზსაც კი შეუკავშირდებიან ბოლშევიკები, ოღონდ კი შესძლონ საქართველოს წინააღმდეგ გალაშქრება, ამას ნათლად ამოწმებს მათი კავშირი პირ გასისხლიანებულ ოსმალ იმპერიალისტებთან, რომლის საიდუმლოება შემთხვევით გამოაშკარავდა ამ უკანასკნელ დროს ბათუმის საკითხის გარშემო... მაგრამ ისიც კი ცხადია, რომ საქართველოს დემოკრატიამ საკმაოდ გაუშინჯა კბილი ძმათა სისხლში ამოსვრილ ბოლშევიზმს, რომელიც მას ჯოჯოხეთისა და წალეკის მეტს არას უქადის. საქართველოს მუშათა კლასმა, მიუხედავათ დაბალ ხარისხოვან აგიტაცია-დემაგოგიისა, არა ერთხელ დაამარცხა ჩვენი „კომუნისტები“ და როგორი საშიშროებითაც არ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენ დღევანდელი ჩრდილოეთის საფრთხე, საქართველოს რევოლიუციონურ დემოკრატიის, მისი დარაზმულ მუშათა კლასის ბრწყინვალე გამარჯვებაში მაინც არ შეგვიძლია ეჭვის შეტანა. თუ საჭირო იქნება და მოითხოვს ერის ინტერესები ის კვლავაც თავს გასწირავს და გააფთრებულ ბოლშევიზმს თავის მიწა-წყალზე ფეხს არ დაადგმევინებს; ეს იმიტომ რომ, ბოლშევიზმის საკითხთან მჭიდროთ ერის დაკავშირებული საქართველოს რესპუბლიკის ყოფნა არ ყოფნის საკითხი.

საქართველოს დემოკრატიამ კარგათ იცის ბოლშევიკების რუსეთში „საქმიანობიდან“, რომ რუსული ბოლშევიზმი მტერია ყოველივე იმისი, რაც საქართველოსათვის წმიდათა-წმიდას შეადგენს.

აბა, გადაავლეთ თვალი რუსეთის იმ ადგილებს, სადაც კი ბოლშევიკებს დროებით მაინც შეუდგამს ფეხი, თუ იქ ნასახი იყო თავისუფლებისა და რევოლიუციის მონაპოვართა; სისხლით კი საფასეა ბოლშევიკების სამეფო...

მართალია ყოფილ დიდი რუსეთის ყველა პატარა ერების დამოუკიდებლობა ყელზე ადგიათ ბოლშევიკებს, მაგრამ უფრო კი ისინი საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ ურიგდებიან, ამას ნათლად ამტკიცებს ის ღვარძლიანი ნოტები, რომლებითაც ასე ხშირად გვიმასპინძლდება, ეგრედ წოდებული ბოლშევიკებთა სამეფოს გარეშე საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჩიჩერინი და ადგილობრივი ბოლშევიკების ჭორებითა და ინსუნიაციებით აღსავსე პროკლამაციები. მაგრამ რამდენათ სასტიკი და დაუნდობელია ჩვენთვის ბოლშევიზმი, იმდენათ გაორკეცებული იქნება მასთან საქართველოს დემოკრატიის ბრძოლა.

იქნება, ერთხელ და ვინ იცის არც უკანასკნელად, დასჭირდეს დარაზმვა ჩვენს დემოკრატიას; ძალას ძალა უნდა დაუპირდაპიროთ. იმას, რასაც ვერ შესძლებს ჩვენი ბუნებრივი სიმაგრე-კავკასიონის ამაყი ქედი, ის საქართველოს დემოკრატიის თავგანწირვამ და გმირულმა სულმა უნდა სძლიოს. ძალიან ძვირად დაუჯდა საქართველოს დემოკრატიას თავისუფლება და მას ვის უსიკვდილოთ არ დათმობს.

მაგრამ ჩრდილოეთის საფრთხე დღეს არც ისეთ საშიშროებას წარმოადგენს, რომ საჭირო იყოს ეროვნული ზარის ჩამოკვრა და მთელი ერის მოწოდება. არა, სრულიადაც არა. თუ საჭირო იქნა ჩვენი დემოკრატიის მებრძოლი ნაწილი სახალხო გვარდია და ჯარიც ადვილათ შესძლებს ბოლშევიკებთან გამკლავებას; მათმა თავგანწირულმა ბრძოლამ არა ერთხელ იხსნა საქართველო ხიფათისაგან და თუ რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვს ეხლაც გავხდებით მოწმეთ მათი ბრწყინვალე გამარჯვებისა...

გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტა.

გარეშე საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა შემდეგი ნოტა გაუგზავნა ოლ. უოდროპს, საფრანგეთისა და იტალიის მისიებთა უფროსებს:

დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს შემდეგი ნოტა გაეგზავნა: თქვენო აღმატებულებავ!

თქვენს წერილში, თებერვლის 29-ს თარიღით, თქვენ მაცნობეთ, რომ უმაღლესი საბჭოს დადგენილებით გადაწყვეტილ იქმნა ქალაქ ბათუმის ჯერჯერობით დაჭერა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის ჯარებით.

იტალიის წარმომადგენელი პოლკოვნიკი გაბბა თავის წერილში მარტის 9-დან იტყობინება, რომ ლონდონის კონფერენციამ გადასწყვიტა გადააქციოს ბათომი პორტოფრანკოდ, მცირე ტერიტორიალურ ზონით, ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ. როგორც

გარანტიას საფრანგეთი, იტალია და ინგლისი გაგზავნიან იქ ქვეითა ჯარის თითო ბატალიონს.

საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი მარტის 16-ს გვაცნობებს, რომ თანახმად უმაღლესი საბჭოს დადგენილებისა ბათომის ნავთსადგური გამოცხადებულია თავისუფალ პორტად, ქალაქი და მისი გარშემო მცირე ზონა შეადგენს პატარა სახელმწიფოს ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ და დაჭერილ იქნება ინტერნაციონალურ რაზმით, რომელიც შესდგება სამი ბატალიონისაგან: ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიისა.

მიუხედავად ამ სამ ცნობათა აზრთა წინააღმდეგობისა, ცხადად სჩანს, რომ ამ გადაწყვეტილებით ბათომი უნდა გამოეყოს საქართველოს. ბევრჯელ გვქონია ჩვენ შემთხვევა განგვემარტა თქვენი აღმატებულებისათვის ქალაქ ბათომის მნიშვნელობა საქართველოსათვის.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ბათომი სავსებით ქართული ქალაქია, რომ მას არ შეუძლია უსაქართველოდ არსებობა და ეს გამოყოფა იქნება წინააღმდეგ საქართველოს ერის და ბათომის მცხოვრებთა ნებისყოფისა, რომელთაც მრავალი მტკიცებით სხვა და სხვა დროს მეჯლისის გადაწყვეტილებებით და უკანასკნელ მუნიციპალურ არჩევნებით თებერვალში, რომელნიც მოხდა ქართველებისათვის ნაკლებად ხელშემწყობ პირობებში, გამოსთქვეს თავიანთი ერთგულება დედასამშობლო საქართველოსადმი და შეურყეველი სურვილი მისდამი შეერთებისა.

ვიღებთ, რა მხედველობაში მას, რომ ზემოხსენებულ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ძირს გამოუთხრის საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს, და ვაცხადებ რა ენერგიულ პროტესტს ბათომის ბედის ასეთი გადაწყვეტის წინააღმდეგ, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ არც ქართველი ერი და არც ბათომის მცხოვრებნი არ შეურიგდებიან ქალაქ ბათომის საქართველოდან ჩამოშორებას.

მიიღეთ თქვენო აღმატებულებავ და სხვა..,

მინისტრი **გეგეჭკორი.**

იტალიის პასუხი.

მათ აღმატებულებას ევგენი გეგეჭკორს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს. ტფილისი. ბატონო მინისტრო!

ეს არის ეხლა მივიღე თქვენი ნოტა № 2222 მარტის 18-დან: მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ყველა მისი დებულებანი დღესვე გადაცემულ იქმნება რადიოთი იტალიის მთავრობისადმი.

სწორედ გუშინ, როდესაც მე უკან ვბრუნდებოდი, ბათომიდან რადიოთი შევატყობინე ჩემს მთავრობას და ვაცნობე ქართველი ერის სულიერი მდგომარეობა იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მიიღო უმაღლესმა საბჭომ ბათომის საკითხის შესახებ, მე ვსთხოვდი სასწრაფოდ ეცნობებინათ ჩემთვის, არა მარტო ქალაქის, არამედ მთელი ოლქის ბედის მომავალიც. მე ვსარგებლობ შემთხვევით ბატონო მინისტრო, რომ გაცნობოთ თქვენ ჩემი პირადი აზრი, რომელიც კარგად იცის იტალიის მეფის მთავრობამ, რომ ბათომის მთელი ოლქი ქალაქთან ერთად უნდა გადაეცეს საქართველოს მხოლოდ იმ გარანტიით, რომ განსაზღვრულ დროს განმავლობაში იქნება განსაკუთრებული მმართველობა, და ნავთსადგურით ისარგებლებენ, ყველა ის ერები, რომლებიც ამით დაინტერესებულნი არიან, უპირველეს ყოვლისა ამიერკავკასიის სამი ერი; ვალდებულად ვრაცხ თავს დაუმატო, რომ ასეთი საკითხის გადაჭრა ფრიად ხელსაყრელი იქნება თვით საქართველოსთვის, თუ მივიღებთ მხედველობაში განსაკუთრებულ მდგომარეობას ფოთის და ბათომის ნავთსადგურებისა, ბოლშევიკების ოკუპაციის გამო, შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირების მხრიდან, ოკუპაციისა რომელიც მოკლე ხანაში მიაღწევს ნოვოროსიისკს და ტუაპსეს. მე გადავიკითხე კომანდან დე-ნონანკურის ცნობა და ვაცხადებ, რომ მე ვერ ვიპოვე იქ ვერავითარი წინააღმდეგობა იმ ცნობასთან შედარებით, რომელიც მე თვითონ პატივი მქონდა თქვენთვის გადმომეგზავნა მარტის 9. ბატ. უოლდროპის ტექსტში ე აღვნიშნე: „ჯერჯერობით“ რომელიც გვითითებს ჩემს აზრით, მიღებულ გადაწყვეტილების დროებით ხასიათზე. ამის შესახებაც შევეკითხები იტალიის მეფის მთავრობას, რათა საჭირო ცნობები მომაწოდოს.

პოლკ. **გაბბა.**

ᲨᲘᲒᲑᲐᲜ ᲡᲐᲥᲛ. ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲑᲐ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღებული ცნობებით—ყოფილი მე-17-ე დრაგუნთა ნიჟეგოროდის პოლკის ოფიცერთა საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის თავმჯდომარის წინაშე, რათა ოფიცერთა საზოგადოებისაგან ჩამორთმეული !მე-17-ე ნიჟეგოროდის პოლკის ქონება დარჩეს აღნიშნული საზოგადოების განკარგულებაში.

მთავრობის თავმჯდომარის მიერ უარყოფილ იქნა ეს შუამდგომლობა და წინადადება მიეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიღებულ იქნას სათანადო ზომები ამ სახელმწიფო ქონების დასაცავად.

ᲥᲐᲚᲐᲥᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲑᲐ.

საქართველოს ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ამა წლის თებერვალში რესპუბლიკის ქალაქების მიერ მილიციის შენახვაზე გაწეული ხარჯების დასაფარავად დაჩქარებით გახსნილ იქნას სათანადო კრედიტი—თუ 75 პროცენტის მომატების კვალობაზედ არა, დროებით 50 პროცენტის მომატებით მაინც.

ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიღებული ცნობებით—ფოთიდან მატარებლით ჩამოვიდა ტფილისის რკინის-გზის სადგურზე სომეხ ლტოლვილთა ჯგუფი, რიცხვით 80 კაცი, რომელნიც დარაჯთა რაზმის მხედველობის ქვეშ უკლებლივ გადაგზავნილ იქნენ სადგურ სანაინამდე.

ᲡᲐᲗᲔᲡᲚᲔ ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲕᲔᲑᲐ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ თიანეთის სამაზრო ერობის მიერ დაკავებულ იქნა თიანეთის მაზრაში გვარდიის მთავარ შტაბისათვის შეძენილი სათესლე ხორბალი. სამინისტრო ღებულობს ზომებს, რათა აღნიშნული სათესლეს გამოტანის ნებართვა მიეცეს შტაბს.

ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜ „ᲝᲠᲘᲐᲜᲢᲐᲚᲘᲡ“ ᲓᲐᲮᲣᲠᲕᲐ

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, განიხილა რა ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მოხსენება რესტორან „ორიანტალ“-ში სისტემატიურად მომხდარ უწესრიგობის შესახებ, დაადგინა: რესტორანი „ორიანტალი“ სამუდამოდ დაკეტილ იქნას, ვინაიდან მისი არსებობა საზიანოა საზოგადოებრივ წესიერებისათვის.

დადგენილების სისრულეში მოყვანა დაევალა ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსს.

ᲙᲚᲣᲑ „ᲣᲜᲘᲝᲜᲘᲡ“ ᲓᲐᲙᲔᲢᲕᲐ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა, განიხილა რა ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის მიერ ამა 21 მარტის № 1618 წარწერით გამოგზავნილი მიმოწერა და მიიღო რა მხედველობაში, რომ კლუბ „უნიონ“-ში, (პასკევიჩის ქუჩაზე № 13), სისტემატიურად სწარმოებს კანონით აღკრძალული ბანქოს თამაში, რაც სავსებით დაადასტურა მილიციის მიერ 2 თებერვალს მომხდარ კლუბის დათვალიერებამ, დაადგინა: კლუბი „უნიონი“ დაუყონებლივ დაკეტილ იქნას, რის შესახებ ეცნობოს ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსს—სისრულეში მოსაყვანად.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ონიდან:

„უდიდეს მიტინგზე ონის ებრაელებმა გამოსთქვეს აღშფოთებული პროტესტი ქუთაისის რაბინის და ტფილისის ებრაელთა საბჭოს მიერ ჩვენის სახელით საკონსტიტუციო კომისიაში გამოსვლის შესახებ. ჩვენ მოვითხოვთ—რათა არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიეცეს არავის გამოსვლას, ვიდრე არ მოხდება სრულიად საქართველოს ებრაელების ყრილობა, რომელიც იტყვის თავის სიტყვას. ამ გამოსვლაში ვხედავთ დემოკრატიული პრინციპების დარღვევას და მისი უცოდინარო აზრის ძალით ჩვენზე შემოხვევას. ჩვენ თქვენში ვეძებთ დახმარებას“.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ-ᲛᲠᲔᲦᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘ ᲢᲠᲝᲨᲘ.

ᲡᲐᲐᲥᲪᲘᲖᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო იმუშავებს დეკრეტის პროექტს, რომლითაც დადასტურდება, რომ: 1) აქციზ-დასადებ ყველა საგნებისათვის დაწესდეს პროპორციული საქციზო გადასახადი, აქციზ-დასადებ საგნებზე საქციზო გადასახადის რაოდენობა ამ საგანთა ფასების ცვლილების მიხედვით არა უმეტეს დაწესებულ პროცენტის ნორმისა. 2) ფინანსთა მინისტრს უფლება მიენიჭოს შეიმუშაოს დაწვრილებითი წესები პროპორციულ აქციზის შემოღებისა, აგრეთვე აქციზის გაწერისა, შემოსულ გადასახადის ანგარიშთა წარმოებისა და მისი კონტროლისა.

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

დღეს, მარტის 24-ს ფინანსთა სამინისტროში დანიშნულია სხდომა, განხილულ იქნება შემდეგი საკითხები: 1) ზოგიერთ პირ და პირ გადასახადის კანონ-პროექტი. 2) საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის ფოთის ბანკის წესდება. 3) ფულის ტრიალის რეფორმა. 4) კანონ-პროექტი გადასახად საბაჟოზე. 5) გადიდება ტარამვაის ბაჟისა.

ᲥᲐᲚᲐᲥ. ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ:

— შრომის ბირჟის კინო-თეატრის შესაკეთებლად გადაიდოს 13,523 მანეთი თანახმად ქალაქის ხუროთმოძღვარ ინჟ. აბესალომოვის გამოანგარიშებისა.

— მიეცეს ტრამვაის უფასო ბილეთები სამასალო განყოფილების გამგეს ქურდოვანიძეს, მის თანაშემწეს და სამასალო განყოფილების ორ აგენტს.

— მიეცეს შრომის ბირჟის გამგეობას თანახმად ქალაქის შრომისა და სოციალურ განყოფილების შუამდგომლობისა 1166 მან. ანგარიშების გასასწორებლად.

— დამტკიცებულ იქნას ქალაქის ღამის თავშესაფარში ახლად დაარსებულ განმანაწილებელ თავშესაფარის ბავშვებისათვის გაწეული ხარჯი.

— საბჭოს მიერ საერთო ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებამდე გადადებულ იქნას 550 ათასი მანეთი ავჭალაში წყალსადენის მიწაზე ბოსტნეულების გასაშენებლად, ნება მიეცეს წყალსადენის დირექტორს ეხლავე შეუდგეს მუშაობას ამის შესახებ და შედეგი მოხსენდეს ქალაქის საბჭოს.

— მთავარ კანტროლიორის დასკვნის თანახმად საბჭოს მდივანის საავანსო ანგარიშის შემცირება 14233 მანეთით გაუქმებულ იქნას, ძალაში დარჩეს შემცირება ანგარიშისა 1,194 მან., რაც შეეხება შემცირებულ 21,860 მან. მდივნის პირად განმარტების შემდეგ ესეც გაუქმებულად იქნეს.

— მიეცეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში ღიღურ მომუშავეებს ხელფასი 25—30 მანეთამდის საავადმყოფოს სურსათით.

— გაეროვნების გამო დათხოვნილ იქნას, სამსახურიდან ქალაქის მეორე საავადმყოფოს ეკონომი ქალი სალიკვიდაციო ფულის მიცემით.

— შეტანილ იქნა სასურსათო განყოფილებაში ავანსი 150,000 მან. მაზუთის შესაძენათ ქალაქის პირველ საავადმყოფოსათვის.

— მიემატოს სასურსათო განყოფილების ზოგიერთ მოსამსახურეთ ჯამაგირები თანახმად გამგეობის წევრის კონიევის მოხსენებისა.

— საავჭრო სასურსათო განყოფილების ზედამხედველის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მისი განყოფილება განთავისუფლებულ იქნას საცნობო ფასების მიწოდებისაგან ზოგიერთ დაწესებულებათა შეკითხვაზე განიხილა გამგეობამ და დაადგინა: ქალაქის გამგეობის ყველა განყოფილებებს დაევალოს მიაწოდოს მასალები და ცნობები თავის დარგიდან მთავარ სტატისტიკურ ბიუროს, რომ შეიძლებოდეს სხვა და სხვა დაწესებულებათა შეკითხვაზე ნამდვილი და სამართლიანი ცნობების და ფასების მიწოდება მათი ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ.

— ქალაქის მიწებზე გაშენებული კარგი შემოსავლიანი ბუტკები და შენობები იქნეს გამოსყიდული ქალაქის მიერ, რისთვისაც შესდგეს შემფასებელი კომისია გამგეობის წევრის, საჯარო განყოფილების გამგის ტეხნიკისა და კანტროლისაგან. ხელშეკრულებაში იქნეს აღნიშნული შენობები განსაზღვრული ვადის, ან სარგებლობის შემდეგ უსასყიდლოდ ან განსაზღვრულ ფასში დარჩეს ხოლმე ქალაქს.

ᲔᲠᲝᲒᲐ

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲑᲐ.

გორის სამაზრო ერობის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ნება დართოს 10 მილიონი საობლიგაციო სესხის გამოცემისა.

ამის გამო ფინანსთა სამინისტრო შეეკითხა ერობათა კავშირის კომიტეტს სთვლის თუ არა მიზან-შეწონილად ნება დაერთოს სამაზრო ერობებს შინაურ სესხის გამოშვებისა. სამინისტროს აზრით ასეთი სესხის გამოცემა უფრო უკეთესი იქნებოდა ერობათა კომიტეტისათვის.

ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲑᲐ.

ბორჩალოს სამაზრო ერობის საადგილ-მამულო განყოფილება შუამდგომლობს მიწათმოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა გადაცემულ იქნას მათ განკარგულებაში საძოვარ-სათიბი ადგილები სახელწოდებით: „საბით-ახარა“, რომელიც 510 დესეტინას უდრის, რომელიც ეკუთვნოდა ტფილისის სახალხო სასწავლებლის დირექციას.

ერობას აზრათ აქვს განაახლოს იქ არსებული ყველის დასამზადებელი ქარხანა, რომელიც დღეს გაუქმებულია.

ᲔᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ.

ერობათა კავშირის კომიტეტი 30 მარტისთვის იწვევს სამაზრო ერობათა წარმომადგენლებს თათბირისათვის. თათბირის მიზანი არის გამოარკვიოს თუ რომელი სახელმწიფო მიწები უნდა იქნენ გადაცემული ერობათა განკარგულებაში.

ᲣᲪᲮᲝᲚᲔᲗᲘ

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚᲘ ᲮᲝᲠᲢᲘ.

ჰუნგრეთის ადმირალ ხორტის ამერიკის ჟურნალისტთან საუბრის დროს განუცხადებია, რომ ვიდრე ის ცოცხლალი იქნება ჰუნგრეთში ბალშევიზმი ვერ შემოსდგამს ფეხს. „თუ რაიმე ცდა იქნება ბალშევიკების გამოსვლის—უთქვამს ადმირალს—მე მაშინვე ჩავახრჩობ თავიანთსავე სისხლშიო. ის სამხედრო ძალები, რომელიც მე მყავს სრულიად ადვილად შესძლებს ყოველგვარ ბალშევიზმის ჩაქრობას. მართალია, მე სურსათი ბევრი არა მაქვს, მაგრამ ძალა კი დიდიო“.

ᲒᲐᲜᲮᲔᲗᲥᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢ-ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

გერმანიის სოციალისტ-სტუდენტთა შორის ქ. ლეიპციგში კონგრესზე გამოტანილ რეზოლიუციის გამო მოხდა განხეთქილება. განხეთქილება გამოიწვია უმთავრესად იმან, რომ უმრავლესობა მიეკედლა ისევ სოციალისტ-სტუდენტთა კავშირს, ხოლო უმცირესობა—მესამე ინტერნაციონალს.

ᲢᲠᲝᲪᲙᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ.

ჰელსინგფორსიდან ფრანგულ გაზეთებს ატყობინებენ საბჭოთა რუსეთის მთავრობის ზოგიერთ ცვლილებებს: მაგალითად ტროცკის ჩაუბარებია გზათა და მომარაგების მთავარ კომისრის ადგილი, მხოლოდ სამხედრო მინისტრად დაუნიშნავთ გენერალი პოლივანოვი. გენერლები ებერტი და ივანოვი დაუნიშნავთ მთავარსარდლებად ციმბირში და თურქესტანში.

ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ Ს�პᲐᲠᲗᲔᲗᲨᲘ.

როგორც გაზეთები იტყობინებიან ამ ჟამად სპარსეთში ყოველ კუთხეში გავრცელებულია ეპიდემიური ავათმყოფობა. ყოველ დღე მსხვერპლი მეტად დიდია. მცხოვრებლები სასოწარკვეთილებაში არიან.

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲓᲐ Ს�პᲐᲠᲗᲔᲗᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ.

სპარსეთის ელჩს ჰააგაში დავალებული აქვს თავის მთავრობასთან, რათა მან ჰოლანდიის და სპარსეთის შორის მოაწესრიგოს ეკონომიური ურთიერთობა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ.

რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ მოკავშირეთა მისიებმა ოფიციალურად უკვე იცნეს გერმანიის ახალი მთავრობა.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

(ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕ. ᲓᲔᲞᲔᲨᲗᲐ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ)

გერმანიის პროფ. კავშირების ც. კომიტეტის პლენარულ სხდომაზე გადასწყდა, საერთო გაფიცვები შესწყვიტონ და მთელ გერმანიაში დაიწყონ მუშაობა, რადგან ახლად შემდგარმა კოალიციონურმა მთავრობამ მიიღო პროფ. კავშირების მთავარი პირობები. ეს პირობები შემდეგია: მუშათა წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ სოციალურ კანონმდებლობაში ნაციონალურ ყრილობის უფლების დაურღვევლად. ყველა არა ლოიალური ჯარი დაიშლება და შეცვლილი იქნება მცხოვრებთა რესპუბლიკანურ წრეებისაგან და განსაკუთრებით შეკავშირებულ მუშათაგან ახლად შემდგარი ნაწილებით. იმ სამრეწველოების სოციალიზაცია, რომლის სოციალიზაციაც მხარის ეკონომიურ ცხოვრებას არ მიაყენებს ზარალს. იარაღის აყრა და დასჯა იმ პირთა, რომლებიც აჯანყებაში იღებდენ მონაწილეობას. რეაქციონური პირების სამინისტროსაგან განდევნა.

ელჩების საბჭომ განიხილა ებერტის მთავრობის ფორმალური თხოვნა, რომ გერმანიის

სამხედრო ძალები არ განიარაღონ, რადგან სპარტაკელების მხრით საშიშროებაა. ებერტის მთავრობა აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია მთელ გერმანიაში ბალშევიზმის გამარჯვება, რაც აუცილებლად საფრანგეთზე გავლენას იქონიებს. ინგლისის და იტალიის წარმომადგენლები იმ აზრის იყვნენ, რომ თხოვნა დაეკმაყოფილებიათ, მაგრამ საფრანგეთის წარმომადგენელი წინააღმდეგი იყო, ის ამბობდა, თუ გერმანიას უფლება მიეცა იყოლიოს დიდი ჯარი, მაშინ შექმნილი იქნება უფრო მეტი საშიშროება, ვიდრე ბალშევიკური საშიშროება.

დღეს შტუტგარტში არეულობა იყო. ისმოდა სროლის ხმა, არიან დაჭრილები და დახოცილებიც.

გერმანიაში გერმანიის შავრაზმელთა ცდის დამარცხება მაჩვენებელია იმისა, რომ გერმანია შეურყევლად მიისწრაფვის პროლეტარული მთავრობის შემოღებისაკენ. ეხლანდელი მთავრობის მეთაური ებერტი, წარმოადგენდა გერმანელ კერენსკის, კარგის მდომს, მაგრამ სუსტს. გერმანია ეხლა უახლოვდება ლენინს და ტროცკის, თუმცა ჯერ-ჯერობით გერმანელი ლენინი და ტროცკი არ არსებობენ. გერმანიის მუშების და მთელი მცხოვრებლების სულიერი განწყობილება აწეულია. სიმშილი, სიცივე და საერთო უწესრიგობა მცხოვრებლებში ყოფილ მთავრობის მიმართ უკმაყოფილებას იწვევს. გადატრიალება რომ მარცხენა მიმდინარეობისაკენ არის მიმართული ნათელია. გერმანიის მუშები საბჭოთა რეჟიმის შემოღებას მოითხოვენ. მემარცხენე პარტიის პროგრამაში შედის მოთხოვნილება, რომ ყველა სამრეწველოები სახელმწიფოს გადაეცეს. ყოფილი მთავრობა ბერლინში ბრუნდება. მთავრობის მეთაური ებერტი ბერლინში ბრუნდება. გერმანიის კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების მეთაურს გენერ. ლიუტვიცს და დ-რ კაპპის კარგი ბედი არ მოელით. მთავრობამ მათ დასჯერათ საჩუქრებიც კი გადასდო. ხმებია, რომ ლიუტვიცმა თავი მოიკლაო, დ-რ კაპპი ლეიპციგში დააპატიმრეს.

თავდაცვის სამინისტრო ამგვარათ ახასიათებს ბერლინის მდგომარეობას: აღმოსავლეთ ვესტფალია კომუნისტების ხელშია. მელენბურგში კომუნისტური მოძრაობაა. შტეტინში ეროვნულმა გვარდიამ მიიღო ბრძანება „კომუნისტების ბუდე“ გაანთავისუფლოს. ქალ. ჰალეში საბჭოთა მთავრობა დაარსდა. იუსტიციის მინისტრი შიფერი დღე და ღამე მოლაპარაკებას აწარმოებს დამოუკიდებელ მუშათა ბელადებთან, იგი სცდილობს დაარწმუნოს ისინი, რათა მათ საერთო გაფიცვების შეწყვეტის შესახებ ბრძანება გასცენ. მემარცხენე ელემენტების ბელადებს პირიქით, სურთ ისინი უკანასკნელ ზომამდე (?) მიიყვანონ, რადგან ებერტის მთავრობის სისუსტესა გრძნობენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ებერტს და ბაუერს იმდენივე შანსი აქვთ გამარჯვებაზე, რამდენიც კაპპსა და ლიუტვიცს. მთელი გერმანიის მუშები მოითხოვენ საბჭოთა რეჟიმის შემოღებას, თუმცა ამ სიტყვის თქმას გაურბიან.

ბერლინი. მარ. 19, ყოველი მხრიდან მოსული ხმების გამო, თითქოს დღეს უნდა მომხდარიყო სპარტაკელების აჯანყება, მთავრობა იძულებული შეიქნა განსაკუთრებული გასაფრთხილებელი ზომები მიეღო. ვილჰელმშტრასეზე არტილერია დააყენეს. ჰოდს-ომსკის ვაგზალთან ავტომობილიდან ტყვიისმრქვეველიდან სრულიად უმიზეზო ისროლეს.

ავტომობილმა დასტოვა დაჭრილები და დახოცილები და გაქანდა. ებერმა და მისმა კაბინეტმა გადასწყვიტა შტუტგარტში დარჩენა, სანამ ბერლინში ცხოვრება ნორმალურ პირობებში არ ჩადგება. მთავრობის განცხადებამ, რომ ბერლინში საალყო წესები იქნება გაძლიერებულია, დამოუკიდებელთა მხრით ენერგიული პროტესტი გამოიწვია. მთავრობა იძულებული შეიქმნა დაეთმო. ცნობა მოვიდა, რომ დიდი ზარალის შემდეგ კომუნისტებმა დაიჭირეს ქალაქი ესენი, სადაც კრუპის ქარხნებია. მთავრობის ჯარმა ილსბერგი კომუნისტებს უბრძოლველად ჩააბარა. კომუნისტებმა ხელში ჩაიგდეს ავგრეთვე მდ. რუს მიდამოების თვალსაჩინო ნაწილი.

საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებაში.

ტრანსპორტის მოწყობა იმ ადგილებში, რომელთაც ეს განსაკუთრებით ესაჭიროებათ, განხორციელების კვალში ჩადგა: გამგეობის წევრი გ. ფიცხელაური, რომელსაც აქვს ჩაბარებული ხმელეთის ტრანსპორტის გამგებლობა, პირადათ იყო ქუთაისში მიმდინარე თვის დამდეგს და გახსნა ავტომობილების მიმოსვლა ბაღდადსა და ხონამდის 7 მარტიდან. ავტომობილები დღეში ორ რეისს აკეთებენ და მგზავრთა სიმრავლე ამტკიცებს, რამდენად ესაჭიროება ამ კუთხეს რიგიანი მიმოსვლა. როგორც ერობა, ისე ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველ ღონეს ხმარობენ სათანადოთ შეაკეთონ გზა ქუთაისიდგან სამტრედიამდე და იქაც სულ მოკლე ხანში იქნება მოწყობილი მიმოსვლა. მეტად მკაცრი ზამთრით გამოწვეულმა უგზოობამ შეშეაჩერა ტრაქტის გახსნა ქუთაისიდგან ონამდე. საზოგადოთ ბოლო წლებში სამხედროოსეთის გზატკეცილი, რომელიც აერთებს რაჭა-ლეჩხუმს, ძალიან გაფუჭდა, რადგან შესაფერი შეკეთება მას არა ღირსებია. მაინც ამ დღეებში იქაც გაიხსნება მიმოსვლა და საწყალი რაჭაც თავისუფლად ამოისუნთქავს.

საზოგადოება თავის სადგურსა ხსნის ტფილისში, მაგრამ ვიდრე ამ სადგურის დებულება დამტკიცდებოდეს, აღძრულია შუამდგომდგომლობა გზათა დეპარტამენტის წინაშე, რათა რკინის გზათა ქალაქის სადგურმა გაჰყიდოს პირდაპირი მიმოსვლის ბილეთები, ე. ი. იმ ადგილამდე, სადაცა სურს მგზავრს წასვლა. საზოგადოების ავტომობილები დახვდებიან მგზავრებს ქუთაისის რკინის გზის სადგურზედ და იქიდან წაიყვანენ მათ პირდაპირ დანიშნულებისამებრ. ეს წესი მგზავრებისათვის რა თქმა უნდა მეტად ხელსაყრელია, ვინაიდან არც მეტი დრო დაეკარგებათ და ზოგიერთი ხარჯებიც შერჩებათ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერჯერობით საზოგადოება იმ ძველი ავტომობილებით აწარმოებს მუშაობას, რომლებიც მან მთავრობისგან მიიღო მეტად გაცვეთილი და დაზიანებული. მათი მუშაობა, რასაკვირველია, არაა საკმაო და დამაკმაყოფილებელი, მაგრამ საზოგადოება ელის ავტომობილების პირველ პარტიას ლონდონიდანა. ხოშტარიასაგან და როგორც-კი ამ ავტომობილებს მიიღებს, საქმე სასურველ კალაპოტში ჩადგება. ახალი ავტომობილები ნებას მისცემენ საზოგადოებას ფართო გეგმით აწარმოოს მუშაობა და სავსებით დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება.

ცენტროგანკი

1920 წლის 21 მარტს ცენტრობანკის ბინაზე შესდგა ამ ბანკის აქციონერთა პირველი საზოგადო კრება ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და კ. მხეიძის მდივნობით; კრებაზე გამოცხადდა 200 აქციონერი, რომლებმაც წარმოადგინეს 23 მილიონი მანეთის აქციები; კრებას დაესწრნენ გარდა ტფილელ აქციონერებისა ბევრი პროვინციელი წარმომადგენელი და აქციონერი. კრებას მოხსენდა საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში ბანკის მოწყობისა, აქციების განაღდებისა და 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ, რაიც კრებამ ერთხმად მიიღო და მოიწონა; აგრეთვე კრებამ ბანკის საბჭოს და გამგეობას უფლება მიანიჭა თავისი შეხედულობით საჭირო პუნკტებში და ქალაქებში დაარსონ ბანკის განყოფილებანი და სააგენტონი.

ამის შემდეგ მოხდა არჩევნები ბანკის მართველ ორგანოების ფარული კენჭის ყრით.

გამგეობაში არჩეულ იქნენ: გამგეობის თავმჯდომარეთ—ჰ. გოთუა, გამგეობის წევრად კონსტანტინე აფხაზი, ნ. თავდგირიძე,

საბჭოს თავმჯდომარედ—გ. ბერიძე. წევრებად: ნიკოლაძე ნ., ასათიანი ა., ბერიძე კ., ჯაყელი ა., კალანდაძე დ., ვარაზაშვილი ი., მიქაძე ივ., ცინცაძე ნ., მიქაძე ბეს., მასხარაშვილი ალ., ტყავაძე კ., წინამძღვარიშვილი გ., გვაზავა გ. და გორდეზიანი გ.

სარევიზიო კომისიის წევრებად: ცინცაძე კ., ბერიძე ლ., ზირაქაშვილი ნ., რუსიძე მ. და სიხარულიძე ტ.

ბანკი დაიწყებს ზოგიერთ ოპერაციას 25 მარტს.

ხელოვნება

ივ. სარაჯიშვილის ბენეფისი.

ხუთშაბათს, მარტის 18-ს სახელმწიფო თეატრში გაიმართა მომღერალ ივ. სარაჯიშვილის ბენეფისი. ბენეფიციანტი გამოვიდა ოპერა „ჰუგენოტებში“ რაულის პარტიაში.

ამ ბოლო ხანებში, რაც ბ-ნმა სარაჯიშვილმა დრამატიულ ტენორის პარტიების შესრულება დაიწყო შესამჩნევი ნაბიჯი გადასდგა წინ. ბ-ნი სარაჯიშვილი დახელოვნდა როგორც სცენიურ ისე მოკალურ სფეროში. წინად თუ სარაჯიშვილს უძნელდებოდა მაღალ ტესიტურის პარტიის შესრულება, დღეს სრულიად ადვილად უმკლავდება მაღალ რეგისტრებს და ყოველგვარ პარტიის სირთულეს და სიძნელეს სძლევს მშვენივრად.

რაული, დონ ხოზე, გერმანი-აი უკვე როგორ პარტიებს ასრულებს სარაჯიშვილი. დიდი წარმატება გამოიჩინა მომღერალმა ამ პარტიებში, თითქმის ყოველივე იმედსაც კი გადააჭარბა.

თავის ბენეფისზე ხომ სარაჯიშვილმა გაგვაკვირვა ყველა. იშვიათად შეიძლება მომღერალმა გადმოგვეცეს რაულის ძნელი პარტია ისე კარგად, როგორც ეს სარაჯიშვილმა გადმოგვცა.

იმ საღამოს მომღერლის საშუალო რევისტრი, მედიმ-განსაკუთრებით მომჯადოვებელი იყო. მშვენიერი „პიანო“-ს ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა და ყველას გასაკვირველად მაღალი რეგისტრებს მომღერალი შესამჩნევად იღებდა.

კრებები

დღეს საღამოს შვიდ საათზე ქართულ ლატარიის ბინაზე დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა. განსახილველია ფრიად საჭირო საკითხები, თეატრის შენობის და მომავალ სეზონის წარმოების შესახებ.

—დღეს ქართველ მსახიობთა კავშირის ბინაზე შესდგება ხელოვნების ცენტრის კრება. კრების მიზანია საბოლოოდ გადასწყვიტოს ჟურნალის გამოცემა და განხილული იქნება ჟურნალთან დაკავშირებული ხარჯის რაოდენობა.

სენატში

1920 წლის მარტის 25 დღესა, სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლო სხდომაში განსახილველად დილის 10 საათზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

საქმე № 20 მაგ. 1. საკასაციო პროტესტი ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის დ. ლ. ზელენინისა, ხსენებულ პალატის განაჩენზე, ბრალდებულ კარახანოვის საქმის შესახებ. კარახანოვს ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 354 მუხ. სასჯ. დებ.

საქ. № 20 მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ლევან მაკარის ძის ხუბლაროვისა ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. ხუბლაროვს ბრალდება დანაშაული, გათვალისწინებული 235 მუხ. სასჯ. დებ.

საქ. № 61 მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულთ კონსტანტინე თევზაძის და ილია რუხაძისა. ტფილისის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. თევზაძეს და რუხაძეს ბრალდებათ დანაშაული, გათვალისწინებული 13, 1454, 1451 მუხ. სასჯ. დებ.

საქ. № 9. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ იესე ფილიპეს ძის მეგრელიშვილისა გურიის ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა დადგენილებაზე. მეგრელიშვილს აქვს ერთი თვით საპყრობილეში დაპატიმრება მისჯილი.

სხვა და სხვა

12 მარტს შესდგა საქალაქთაშორისო საავათყოფო კასის პრეზიდიუმის სხდომა, სხდომ-ს მიზანი იყო განეხილა საკითხი ისეთ წევრების საავათმყოფო დახმარებისა, რომლებიც დამქირავებლისაგან არ სარგებლობენ დღემდე. ასეთ წევრთა რიცხვი უდრის 1000 კაცს. სხდომაზე გამოირკვა, რომ საავათმყოფო კასას თვეში მოუხდება 400 საავათმყოფის პატრონობა, რაიც დაჯდება 35—40 ათასი მანეთი თვეში. ამის გამო პრეზიდიუმმა დაადგინა განხილულ იქნას ეს საკითხი გამგეობის საერთო სხდომაზე.

გამოვიდა და იყიდება საკუთარ წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის ქ № 9), სასტუმრო „ორიანტის“ ქვეშ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემანი: 1) დ. კლდიაშვილის მოთხრობების I ტომი. 2) აბდულ-მესიანი ი. შავთელის, 3) კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა გ. წერეთელის მოთხრობა, 4) პირველი ნაბიჯი რომანი მისივე.

დღეს სახალხო სახლში საღამოს ქართ. წარმომ. მართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „უდანაშაულოდ დასჯილნი“. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 7½ საათზე.

მარტის 23 ტფილისში დააპატიმრეს კომუნისტების პარტიის სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი. დააპატიმრეს აგრეთვე კომიტეტის მეთაური ოფიცერი რ. მკრტიჩიანი. აღმოჩენილია ფრიად საყურადღებო საბუთები.

საზოგადოების თხოვნით განმეორებულ იქნება სახელმწიფო თეატრში ოთხშაბათს, 7 აპრილს, ხარება დღეს გალაქტიონ ტაბიძის საღამო. ბილეთების შეძენა დღეიდანვე შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო თეატრის კასაში.

ბიულეტენი

საქარ. ფიზ. ოგსერვატორიის

ტფილისი 22 მარტი, 1920 წ.

ნაშუად. 1 საათ. ჰაერის წოლა მმ.: 713.9; ჰაერის ტემპერატ.: 17,7; შეფარდებ. სინოტ. %: 26; მოღრუბლ.: 0; ქარი: № 2; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვებ.: 41.2;—ბუნებრივ.: 33.4.

ნაღამ 9 საათ.: ჰაერის წოლა მმ.: 722.1; ჰაერის ტემპერ.: 10.3; შეფარდებ. სინოტ. %: 74; მოღრუბლ.: 0; ქარი: S²/₀₂: დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ. მოშიშვლებ.: 8.0;—ბუნებრივისა: 4.6; ჰაერის საშუალო ტემპერატ. 22 მარტს: 11.3; ნორმალი: 8.0; მაქსიმალი: 20.4; მინიმალი: 4.6.

დილით 7 საათ. 23 მარტი, ჰაერის წოლა მმ.: 723.0; ჰაერის ტემპერ. 8.3; შეფარდებ. სინოტ. %: 93; მოღრუბ.: 10; ქარი: მზე; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერატ. მოშიშვლებ.: 9.4; ბუნებრივ.: 9.2; ატმოსფერის ნალექი: 0.4; შენიშვნა: წვიმა ღამ.

დილ. 7 საათ. 22 მარტი.

დაკვირვების ადგილი	ჰაერის ტემპერ.	მინიმალ. ტემპერ.	ნალექი მმ.	ქარი	ძლიერი ფაზა.
ტფილისი [1] .	6.0	5	—	№ 3	—
ბორჯომი . .	2.0	0	—	—	—
ფოთი . . .					
სოხუმი [2] . .	8.4	7	4	0	0
გაგრი [3] . .	8.1	7	8	—	0

შენიშვნა: [1] ნამი ღამ.; [2] წვიმა ღამ.; [3] წვიმა ღამ., დილ. 7 ს.

წესდება

საქართველოს ცენტრ. სავაჭრო-სამრეწ. ბანკისა.

(ცენტრობანკი).

V. ანგარიში.

§ 76.

ბანკის საოპერაციო წელიწადი იწყება პირველ იანვრიდან და თავდება ოცდა თერთმეტ დეკემბერს.

შენიშვნა: თუ ბანკი პირველ ივლისს შემდეგ დაარსდა, მაშინ დაარსების წელიწადი შემდეგ წელიწადს მიერიცხება.

§ 77.

წლიური ანგარიში გამგეობისა და მისი შესახები შენიშვნები საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა უნდა დაბეჭდილ იქნას, სულ ცოტა ორი კვირით ადრე, მის განსახილველად დანიშნულ საზოგადო კრების დღემდე და გამგეობაშივე უნდა ურიგდებოდეს აქციონერებს, რათა ვინც მოისურვებს წინდაწინვე გაიცნოს მისი ვითარება; შემდეგ, კრების ოქმთან ერთად უნდა გაეგზავნოს ოთხი ეკზემპლიარი ფინანსთა მინისტრს.

§ 78.

ბანკის ოპერაციების წლიური ანგარიშები იბეჭდება განცხადებებად ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში საქართველოს რესპუბლიკისა. იმავე ორგანოში ამას გარდა ბანკი მოვალეა ბეჭდოს ბანკის ყოველთვიური ბალანსები. ყოველთვიური ბალანსები ხუთ ეკზემპლიარათ უნდა ეგზავნებოდეს ფინანსთა სამინისტროს (საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებულ კანცელარიას).

§ 79.

წლიურ ბალანსებში არა კეთილ-საიმედო ვალი უნდა აღნიშნულ იყოს დაახლოვებულ ციფრებით, ხოლო სახელმწიფო და სარგებლიან ქაღალდების ფასი არა იმაზე როგორც ნაყიდიან, თუ საბირჟო ფასი ნაკლებია ნაყიდობაზე, მაშინ ღირებულება ქაღალდებისა აღნიშნული უნდა იყოს საბირჟო კურსის მიხედვით.

VI. განაწილება მოგებისა.

§ 80.

ყოველი წლიური წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი სახით:

1) 10 პროც. გადაირიცხება სათადარიგო თანხაში.

2) დანარჩენი მოგება, თუ ის არ აღემატება 10 პროც. ძირითადი თანხისას განაწილდება დივიდენდის სახით აქციონერთა შორის

3) თუ ეს წმინდა მოგება აღემატება 10 პროც., მაშინ ზედმეტი განაწილდება შემდეგი სახით:

ა) 10 პროც. გადაირიცხება მოხელეთა სასარგებლოთ.

ბ) 10 პროც. გადაირიც. გამგეობის წევრთა სასარგებლოდ.

გ) 5 პროც. გად. საბჭოს წევრთა სასარგებლოდ.

დ) 25 პროც. გად. სარეზერვო თანხაში.

ე) 30 ,, ,, დამატებითი დივიდენდში.

ვ) 10 ,, ,, საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის საჭიროებისთვის ფონდში საბჭოს მიხედულობით.

ზ) 10 პროც. გადაირიცხება საპენსიო ფონდში.

§ 81

მიცემა დივიდენდისა აქციების პატრონთათვის იწყება მაშინ, როცა წინასწარი განცხადება დაიბეჭდება და აქციონერები წარადგენენ კუპონებს. თუ ათი წლის განმავლობაში ის კუპონები, რომელშიაც პატრონს დივიდენდი ერგებოდა, არ წარედგინა გამგეობას, შემდეგ იმ კუპონებით პატრონს ფული არ მიეცემა, არამედ ბანკის სასარგებლოდ ჩაირიცხება. დივიდენდის სახით ბანკის კასაში დარჩენილი ფულზე, რომელიც თავის დროზე პატრონს არ მოუთხოვნია, არა შემთხვევაში პროცენტი არ მიეცემა ფულის პატრონს.

VII. სათადარიგო თანხები

(ჩვეულებრივი და სარეზერვო).

§ 82.

ჩვეულებრივი სათადარიგო თანხა ბანკისა, რომლის დანიშნულებაც იმაში მდგომარეობს, რომ გაუძღვეს ზარალს, თუ ვინიცობაა მოუვიდა ბანკს ასეთი ზარალი, შესდგება ყოველ წლიურ 10% გადარიცხვით წმინდა მოგებიდან (80 §) და მის სარგებლიდან.

როცა ეს თანხა იმდენად გაიზდება, რომ ძირითადი თანხის ერთ მესამედს გაუთანასწორდება, მაშინ გადადება მოგების წილისა სათადირიგო თანხის სამატად შეიძლება შეჩერებულ იქმნას; ხოლო თუ ეს თანხა შემდეგ ზარალის გამო შემცირდა, მაშინ § 80 მოხსენებული გადადება მოგების კვლავ უნდა განახლდეს და ეს გადადება განგრძობილ უნდა იქმნას იმ დრომდე, ვიდრე სათადარიგო თანხა ზემოხსენებულ რაოდენობამდე მიაღწევდეს. ჩვეულებრივი თანხა უნდა ინახებოდეს სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ქაღალდებში.

§ 83.

თუ რომელსამე წელს ზარალის დასაფარავად საჭირო შეიქნება მთელი სათადარიგო თანხის გადადება და მაგას გარდა ძირითადი თანხის ნაწილისაცა, მაშინ შემდეგ წლებში იმ დრომდე, ვიდრე ძირითადი თანხა პირველ რაოდენობამდე შეივსებოდეს, ის წილი მოგებისა, რომელიც § 80-ის ძალით სათადარიგო თანხას უნდა ემატებოდეს, გადაირიცხება ბანკის ძირითად თანხაში.

§ 84.

სარეზერვო თანხა, დანიშნული ოპერაციებისაგან წარმომდგარ შესაძლებელ ზარალის გასასტუმრებლად, შესდგება იმ წესით, რომელიც § 80-ში მოხსენებულია. ერთი წილი ამ თანხისა შესიძლოა, აქციონერთა საზოგადო კრების გადაწყვეტილებით, გადაიდოს დივიდენდის შესავსებლად 10%-მდე იმ წლებში, როცა იგი დივიდენდი ვერ აკა ამ რაოდენობამდე.

§ 85.

ერთი მესამედი სარეზერვო თანხისა ინახება სახელმწიფო ბანკში მთავრობისა ანუ მის მიერ უზრუნველყოფილ სარგებლიან ქაღალდებში, დანარჩენი ორი მესამედი თანხისა ბანკის მუდმივ განკარგულებაში უნდა იყოს და იხმარებოდეს აღებ-მისაცემად სწორედ ისევე, როგორც პირველ დაწყებული მისი ძირითადი თანხა.

მე-8 შეჩერება ბანკის მოქმედებისა.

§ 86.

ბანკის მოქმედება შეიძლება შეჩერებულ იქნას ყოველ დროს, საზოგადო კრების გადაწყვეტილებით, თანახმად ამა წესდების § 70-სა.

ხოლო თუ ასეთი ზარალი მოუვიდა ბანკს, რომ მისმა ძირითადმა თანხამ ერთი მესამედით იკლო, შეჩერება ბანკის მოქმედებისა და ლიკვიდაცია სავალდებულოა ბანკისთვის, თუ აქციონერები არ შეავსებენ ამ თანხას პირველ რაოდენობამდე, თანახმად შენიშვნისა მუხ. 118, განყოფ. 10. საკრედიტო წესწესდებისა, გამოც. 1903 წ.

§ 87.

თუ ვინიცობაა ბანკის საქმეთა ლიკვიდაცია აუცილებელია, აქციონერთა საზოგადო კრება, საბჭოს წარდგენით, ნიშნავს ერთს, ან რამდენსამე ადმინისტრატორს და განსაზღვრავს წესსა და რიგს ლიკვიდაციის წარმოებისას, თანახმად მუხ. 2188 ტ. 10 ნაწ. I კანონ. კრებ. მ. მ. 128—136 განყოფ. 10 საკრ. წესდ. გამოც. 1903 წლ. ადმინისტრატორების დანიშვნისთანავე ისპობა უფლებანი და მოვალეობანი გამგეობისა და საბჭოსი; ხოლო უფლებანი აქციონერთა საზოგადო კრებისა წინანდელ ძალაში რჩება ლიკვიდაციის დროს. იგი ამტკიცებს ლიკვიდაციის ანგარიშებისა და საანგარიშო კვიტანციების გაცემას.

მე-9 რე ზოგადნი დადგენილებანი.

§ 88.

თუ ვინიცობაა რაიმე გაუგებრობა გამოიწვია ამ წესდების შესრულებამ, მისი გადაწყვეტა, გამგეობისა ანუ საბჭოს წარდგენით, ფინანსთა მინისტრს უნდა მიენდოს.

§ 89.

ყოველ იმ შემთხვევაში, რომელიც ამ წესდებით ნება-დართული არ არის, ბანკი ემორჩილება ზოგად კანონებს, როგორც აწინდელთა, ისე იმათ, რომელიც შემდეგ იქნება დაწესებული. 289 1—1

განცხადებანი

სილიბისტრო ალექსის ძე სვანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სასურსათო ბარათი № 6613 სამი სულის. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 478 3—1

ზაქარია იაკობის ძე კორგანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 5 სექტემბერს 1892 წ. რეესტრით № 1207. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 397 3—1

ქ. ტფილისის მე 9 სამომრიგებლო უბნის სასამართლოს ბოქაული კ. პატიომკოვსკი ამით აცხადებს, რომ 3 აპრილს 1920 წ. დილის 10 საათზე ტურგენევის ქუჩაზე სახლის № 4 ეზოში საჯარო ვაჭრობით გაყიდის ამალია გენრიხის ასულის პარუნბეგოვის მოძრავ ქონებას, რომელიც შეადგენს სარკიან შკაფს. ეს ქონება შეფასებულია 30,0000 მ. და აწერილია მედვიგი ლიუდვიგის ასულის ვიშნიაკოვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტფილისის მე 9 უბნის მომრიგებელ მოსამართლისაგან 17 თიბათვის 1919 წ. თარიღით, № 123, მიცემულ აღმასრულებელ ფურცლითა 3045 მან. და 30 კ,, სასამართლოსა და საქმის საწარმოებელი ხარჯების დამატებით. 481 1—1

სოფელ საგარეჯოში ტფილისის მაზრისა, მარტის 28 დილის 10 საათზე ტფილისის მაზრის გარე უბნის სასამართლოს ბოქაულის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სოსო მაისურაძის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს ეოთ ღორს ფასათ 2000 მან. და ერთ თხას 1000 მან. ვაჭრობა დაიწყება მოხსენებული ფასებიდან. საქონელი იყიდება მღვდელი იოანნე დარბაისლის ვალში. 484 1—1

გიორგი ივნეს ძე ამილახვარი ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა ბირჟაზე სიარულის ნებართვისა მიღებული ქალ. მილიციის უფროსისგან, სანიტარული გადასახადის და ცხენების ბაჟის გადახდის ბარათი № 69107 69108 მიღებული ქალაქის გამგეობის ხარჯის ამკრეფთაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 497 3—1

ტფილისის გუბ. 1 რაიონის ტყის რევიზორი ამით აცხადებს, რომ 6 აპრილს 1920 წ. შუადღის 12 საათზე თიანეთის სამაზრო ერობის ბინაზე მოხდება საჯარო ვაჭრობა განუმეორებლად ტყის გასაყიდათ თიანეთის სატყეო უწყების მე2-რე იორის დაბიდან „დელიანკა“ ხე: № 1—303 დაბეჭდილი წიფლის ხისა დაფასებული 39290 მან., № 2-ზე—300 ხე 41930 მან. № 3-ზე 299 ხე—37299 მან., № 4-ხე 303 ხე—32080 მან. № 5-ზე 307 ხე—39953 მან. და № 6-ზე 300 ხე 21098 მან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თიანეთში ტყის გამგის კანცელარიაში 269 1—1

ოზურგეთის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს უძეოდ გარდაცვალებული მცხოვრების დვაბზუის თემის ნიკოლოზ (იგივე ისააკი) თომას ძე თავამაშვილისა, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება თავამაშვილის დანაშთ ქონებაზე სამ. კან. წესდ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 0237 1—1

ოგანეზ კარაპეტის ძე არაქელოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პანახონოვის სახლის დავთარი, რომელიც მდებარეობს სერებრიანი ქუჩაზე № 21. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 498 3—1

დაკარგულია ტყიბულის ქვანახშირის საზოგადოების „ნახშირას“ აქცია № 3739, რომელიც ეკუთვნის ელენა დავითის ასულს ახვერდოვისას, გაუქმებულად ჩაითვლება. 476 3—3

ლიზა პავლეს ასული დარახველიძისა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 1531, მიღებული რკინის გზის სამმართველოდან და მეტრიკული ამონაწერი, მიღებული სოფელ ივანდიდის ეკლესიის მღვდლისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 470 3—8

ოლღა მიხეილის ასული ვატიტაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1911 წელს, რეესტრით № 1149, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 473. 3—2

შალვა ამბაკოს ძე დუნდუა აცხადებს რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა № 173, მიღებული მილიციის უფროსის სამმართველოდან 29 იანვრის 1920 წ. და მეტრიკული ამონაწერი სოფ. საჭილაოს წმიდა გიორგის ეკლესიისაგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 330 3—2

კაპიტონ ბესარიონის ძე გოგსაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სალექციო წიგნაკი (მატრიკული) მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 19 თებერვალს 1920 წელს გაუქმებულათ ჩაითვალოს. 494 3—2

ზაქარია სოლომონის ძე პაპელოაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ექვსი სულის სასურსათო წიგნაკი № 20867 მიღებული მის სახელზე ტფ. ქ. გამ. სასურსათო განყოფილებიდან, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 495 3—2

შაიახმედ მაიაფედინის ძე ბულგაკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული სოფ. ბოიკევის (პენზის გუბერნია) სასამართლოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 496 3—2

თამარა გრიგოლის ასული ჟღენტი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფილისის ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 493 3—1

ვასილი გოგნიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მიღებული ერობათა კავშირიდან 1919 წელს 13 დეკემბერს № 276 და პასპორტი მიღებული ახალქალაქის სოფლის სამმართველოდან № 98. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 417 3—1

დავკარგე ერობიდან სურსათის მისაღები წიგნაკი, № 66, რომელზედაც აწერია კოტე კანდელაკი. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ტფილისის ერობა კოტე კანდელაკს. წინადმდეგ შეათხვევაში გაუქმებულათ ითვლება. 406 3—1

იოსებ გრიგოლის ძე არნაუტოვი აცხადებს, რომ მანდაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 15 ნოემბერს 1919 წელს № 3096. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 430 3—1

ქ. ტფილისის მე-20 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 1919 წ. 27 მარტს გარდაცვალებულ ანნა ათაბეგიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ათაბეგიანცის ქონებაზე სამ. კან. კრებ. 1 ნ. X ტ. 1241 მუხ. გათვალისწინებულ ვადაში, 374 1—1

ქ. ტფილისის მე-16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ბარბარე გლახას ასულის დიკანოვის მემკვიდრეებს, წარმოსადგენათ თავიანთ უფლებებისა ვადაზედ თანახმათ 1241 მუხ. ძალ. I ნაწ. X ტ. (კრებ. სამოქ. საქ. გამოცემული 1887 წ.) 308 1—1

ეკატერინოფელდის მომრიგებელი მოსამართლე მე,X ტ. I ნ. 1239 მუხ. კანონთა კრებულის ძალით, იწვევს მემკვიდრეებს ქონებისას, სოფელ ქვეშის ბორჩალოს მაზრ. ტფილისის გუბ. მცხოვრებლების გარდაცვალებულ ერიკა (იგივე ნატალია) სვანდარ ხერუმიანცის ასული კევორკიანცისა და გალუსტ ზაქარიას ძე კევორკიანცისა, რათა მათ წარმოადგინონ 6 თვის განმავლობაში, თანახმად ზემო მოყვანილ კანონის 1241 მუხ. თავისი უფლებები ხსენებულ კევორკიანცის დატოვებულ ქონებაზე. 257 1—1

ტფ. ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 26 მარტს, პარასკევს, დილით 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართველობის შენობაში, თავისუფლების მოედანზე) საჯარო ვაჭრობა ვერის ბორნის, რომელიც მდებარეობს ვერის ხიდის ზემოთ, 1 უბანში, იჯარით გასაცემათ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათზე.

344 1—1 ქალაქის გამგეობა.

ტფ. ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 24 მარტს—ოთხშაბათს, დილით 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართველობის შენობაში, თავისუფლების მოედანზე) საჯარო ვაჭრობა აფიშის ბუტკების და ბოძ-სვეტების, რომელიც მდებარეობს მთელს ქალაქის ყველა სამილიციო უბანში, იჯარით გასაცემათ. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულო განყოფილებაში ნაშუადღევის 2—3 საათზე.

343 1—1 ქალაქის გამგეობა

მომარაგების სამინისტრო

ამით აუწყებს ყველას, რომ კონსტანტინეპოლში და სხვა ქალაქებში გავრცელებული ხმები, ვითომ ფოთის ნავთ-სადგურში შემოსვლა საშიში იყოს იქ გავრცელებულ გადამდებ ავადმყოფობათა გამო. გარდა ამისა საქართველოში შემოტანილ საქონელზედ ვითომდა იდებოდეს რეკვიზიციები, სინამდვილეს არ შეეფერებიან. 337 1—1

ტფ. საბაჟო

ამით აცხადებს, რომ 3 აპრილს 1920 წ. დილის ათ საათზე, ტფ. საბაჟოს შენობაში გაიყიდება საბაჟოს მიერ ჩამორთმეული საქონელი, სახელდობრ: პაპიროსი, თამბაქო, წუმწუმა, საპონი, მანუფაქტურა, დაწერილი ქაღალდები და სხვა და სხვა. 326 3—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ რომ 27 მარტს ა/წ. დილის 10 საათიდან ტფილისის საქონლის სადგურზე გაიყიდება გაუტანელი 3 ვაგონი მარილიანი თევზი (ფარგა და კომბრი) 156 ც. წონ. 2031 ფ. გაგზავნით ბაქოდან—ტფილისი №№ 108631, 108634 და 108635. ხელმეორედ გაყიდვა დანიშნულია მეორე დღეს 29 მარტს ა. წ. 342 1—1

ამიერ-კავკასიის ზეთის, საპნის და ქიმიკური ჩაარხნების „ეირომასის“ აქც. საზ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 1920 წლის 18 აპრილს დღის 12 საათზე, ვოლგა-კამის ბანკის გამგეობის ბინაზე (კოლოუბნის ქუჩა № 7) შესდგება საზოგადოების აქც. წლიური

ჩვეულებრივი კრება

განსახილველია შემდეგი საკითხები: 1. განხილვა და დამტკიცება წასული ოპერატიული ხანის დაწყებული 1919 წლის 15 თებერვლიდან 1 ოქტომბრამდე, ანგარიშებისა და ბალანსისა და აგრეთვე მოგების განაწილება. 2. მომავალ სააპერაციო 1919-1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის და მოქმედების გეგმის შედგენა. 3. ძირითადი თანხის გადიდება. 4. არჩევნები დირექტორებისა და კანდიდატებისა, რომელნიც გავიდნენ თანახმად საზ. წესდების § 22 ძალით. 5. სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა. 6. მიმდინარე საქმეები. 347 2—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.